

ჯულიეტა გაბოდze

Julieta Gabodze

თსუ შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
TSU Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

ბარათაშვილის „ბედი ქართლისას“ უცნობი რედაქცია
(ავტოცენზურა თუ პოეტის შემოქმედებითი ნება)¹

The Unknown Edition of Baratashvili's "Bedi Kartlisa"
("Fate of Kartli")

(Self-Censorship or the Poet's Creative Will?)

DOI: <https://doi.org/10.62119/r.45.2025.9966>

In the second section of *Bedi Kartlisa*, King Erekle II converses with Solomon Lionidze and discloses his intentions – he is prepared to “offer his inheritance” to the Russian Tsar so that “he may bring prosperity to Kartli.” The judge’s attempt to dissuade the monarch (“What has happened to us so far that we should sell our freedom?”) proves almost futile, as Erekle’s foremost desire is to “see Georgia in peace.” In the end, the king ostensibly accepts the judge’s advice, yet still declares:

“I will take heed of your advice
And will silence my heart’s desire,
But do not forget my words,
That whether today or tomorrow,
The Russian Tsar will protect Kartli.”

In this context, the king’s compromise appears paradoxical. On the one hand, he renounces his own aspiration (“I will silence my heart’s desire”)

¹ სტატია მომზადებულია რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული ფუნდამენტური კვლევების საგრანტო პროექტის – „ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებათა აკადემიური ორტომეულის გამოცემა და პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების ორენოვანი მატრიანეს მომზადება“ (Fr-23-10216) – ფარგლებში.

and acknowledges the judge's concern about losing national freedom; on the other, he expresses faith that Russia will soon become Georgia's protector. If Erekle is confident that Russia will safeguard the country, why is he still troubled? What "heart's desire" does he suppress?

The answer lies in a previously unknown edition of the poem, which was most likely transcribed from one of the poet's autographs by Dimitri Kipiani in 1847. This manuscript, catalogued as H-1430, is preserved at the Korneli Kekelidze National Centre of Manuscripts.

In the earliest version of the poem, the king's statement differs slightly: "*Whether today or tomorrow, the Russian Tsar will seize Kartli.*" This alternative reading sheds new light on the king's anxiety and his political decision. Erekle realizes that peace may come at a heavy cost. He understands that Russia's growing ambitions in the Caucasus entail an inevitable threat of annexation. Therefore, he seeks to act preemptively –preferring a controlled integration to a forced conquest – and to preserve Georgia's sovereignty while allying with a more powerful neighbor.

Within the poem, it appears as though the king's defeat at Krtsanisi (1795) led him to sign the Treaty of Georgievsk (1783), an evident historical anachronism. The poet may have intentionally employed this device to underscore how "justified" Erekle's political decision appeared and how "securely" Georgia was later "protected" by its sworn brother, Russia.

Currently, two autograph manuscripts of the poem are known (S2517; H-2034), along with two printed sources (*Tsiskari*, 1858, No. 9; *Poems by N. Baratashvili*, 1876). In addition, eleven manuscript copies transcribed by various individuals have been identified. A letter from Mikheil Tumanishvili's archive reveals that in 1852, Vakhtang Eristavi also produced a copy of the poet's works. It is noteworthy that none of the known autograph manuscripts, printed sources, or later copies reflect this particular textual variant.

The present study aims to determine the authenticity of Kipiani's manuscript of *Bedi Kartlisa*, which, unlike other versions, exhibits numerous substantive, lexical, grammatical, and structural deviations. By comparing Kipiani's manuscript with other autograph copies – texts later revised by Baratashvili – we seek to establish the rationale for these alterations: whether they stemmed from self-censorship or represent the poet's final creative intention.

It is significant that the principal twentieth-century editions of Baratashvili's works (1922, 1939, 1945) were unaware of Kipiani's manuscript. Although the editions of 1968 and 1972 do mention it, they fail to note its textual variations. It remains intriguing why such prominent editors as Pavle Ingorokva and Ivane Lolashvili overlooked this version. Was it due to fear of censorship, or was the manuscript dismissed as unauthentic, with its revisions not attributed to the poet himself? If the latter, who introduced these changes, and for what reason would Kipiani copy an altered text while still ascribing it to Baratashvili?

Baratashvili was a frequent guest at Dimitri Kipiani's home. As Kipiani's memoirs attest, young intellectuals often gathered there; it was within this circle that "Tato's poetic talent developed – here he first read his poems, received comments, and later presented revised versions." It is plausible that during this period, Kipiani obtained an early draft of *Bedi Kartlisa*.

In 1846, Baratashvili's friends initiated a project to publish his works, leading to the collection and transcription of his manuscripts. Kipiani was likely involved in this process – copying the poem into his personal album and subsequently handing over the autograph.

It seems highly improbable that Kipiani arbitrarily modified the poem. First, he was known for his scrupulousness and sense of responsibility. Second, as a representative of the Georgian nobility integrated into the Russian administration, he viewed Georgia's alliance with Russia not as a loss of independence, but as an opportunity for national advancement – economic, political, and cultural. Finally, it is implausible that a figure such as Dimitri Kipiani would introduce extensive lexical, grammatical, or structural changes to Baratashvili's text.

It is noteworthy that most of the alternative readings found in Kipiani's copy correspond to the readings of the autograph manuscripts and their derivative printed editions – except for the single phrase "will seize."

A comparative textual analysis of Kipiani's handwritten copy of *Bedi Kartlisa* (No. 1430) with the known autograph manuscripts, manuscript copies, and printed versions leads to the following conclusion: The alternative reading in Kipiani's manuscript profoundly reshapes the ideological trajectory of the poem. Consequently, we consider this version to represent one of the poem's earliest authorial editions. The numerous lexical, grammatical, and structural divergences from other versions suggest that Kipiani's manuscript may have been transcribed from a now-lost autograph. It appears that

sometime after composing the poem in 1839, Baratashvili's political views evolved. In 1843, he revised *Bedi Kartlisa* twice, at a time when he had already written *The Grave of King Erekle* (1843) and *The War of the Georgians* (1844) – works that unambiguously affirm his positive attitude toward Erekle's political choice.

Thus, the poet's final creative intention is reflected in the later autograph manuscripts of *Bedi Kartlisa*, revised in 1843. This previously unknown edition of the poem will appear in the first volume of the forthcoming two-volume academic collection of Baratashvili's works, under the section "Alternative Editions".

საკვანძო სიტყვები: ბედი ქართლისა, ბარათაშვილი, უცნობი გამოცემა, ავტოცენზურა, მწერლის შემოქმედებითი ნება, ყიფიანი, ალბომი

Keywords: Bedi Kartlisa (Fate of Kartli), Baratashvili, Unknown Edition, Self-Censorship, Author's Creative Will, Kipiani's Album

„ბედი ქართლისას“ მეორე კარში ერეკლე II სოლომონ ლიონიძეს ესაუბრება და აცნობს თავისი გეგმებს - იგი მზადაა რუსეთის მეფეს „მისცეს მემკვიდრეობა“, რათა „მან მოსცეს ქართლს კეთილდღეობა“. მსაჯულის მცდელობა, გადაარწმუნოს მეფე („ჯერ სამაგისო რა გვემართება, რომ განვისყიდოთ თავისუფლება“), თითქმის უშედეგოა, ერეკლესთვის მთავარია „მშვიდობა ნახოს საქართველომ“. ბოლოს მეფე თითქოს თმობს თავის პოზიციას, თუმცა ასეთ რამეს ამბობს:

„აი, მივიღებ მე შენთ რჩევათა
და დავიდუმებ ჩემს გულის-თქმასა,
ნუ დაივიწყებ მაგრამ ჩემს სიტყვას,
რომ დღეს იქნება, თუ ხვალ იქნება
ქართლსა დაიცავს რუსთ ხელმწიფება“.
(ბარათაშვილი, 1972, გვ. 76)

ამკარაა, რომ კონტექსტის გათვალისწინებით, მეფის ეს კომპრომისი ალოგიკურია. ერთი მხრივ, უარს ამბობს თავის მიზანზე (დავიდუმებ ჩემს გულისთქმას) და იზიარებს მსაჯულის შიშს ქვეყნის თავისუფლების დაკარგვის გამო, თუმცა, იმავდროულად, იმედოვნებს, რომ უახლოეს მომავალში რუსეთი დაიცავს საქართველოს. გაუგებარია, რატომღა ნერვიულობს მეფე, თუ იცის, რომ რუსეთის სახით ქვეყანას დამცველი გამოუჩნდება, მაშ რომელ „გულისთქმასღა“ მალავს?

ამ კითხვაზე პასუხს ვიპოვით პოემის უცნობ რედაქციაში, რომელიც სავარაუდოდ, ერთ-ერთი ავტოგრაფული ხელნაწერიდან გადაუწერია დიმიტრი ყიფიანს 1847 წელს თავის ალბომში. აი, რას ამბობს მეფე პოემის პირველ რედაქციაში: **„დღეს იქნება თუ ხვალ იქნება ქართლსა დაიპყრობს რუსთ ხელმწიფება“** (ყიფიანი, ხეც №1430).

ამ სიტყვების შემდეგ უკვე გასაგები ხდება შფოთვის რეალური მიზეზი და მეფის პოლიტიკური არჩევანის მიზანიც. ირაკლიმ იცის, რომ ეს მშვიდობა შესაძლოა ძვირად დაუჯდეს ქვეყანას, ხვდება, კავკასიაში რუსეთის გაძლიერებული ინტერესი საქართველოს დაპყრობის გარდაუვალ საშიშროებას უქადის, ამიტომაც ცდილობს მოვლენებს დაასწოს, „ჩათრევას ჩაყოლა“ ამჯობინოს და სუვერენული სახელმწიფოს სტატუსით დაუკავშირდეს ძლიერ მეზობელს.

პოემის მიხედვით ისე ჩანს, თითქოს მეფეს კრწანისის ომში (1795) დამარცხებამ გადაწყვეტინა გეორგიევსკის ტრაქტატის (1783) დადება. ცხადია, ეს ისტორიული ანაქრონიზმია. შესაძლოა პოეტს ამ მხატვრული ხერხით სწორედ იმის მინიშნება უნდოდა, თუ რამდენად „სწორი“ იყო ერეკლეს პოლიტიკური არჩევანი და როგორ „დაიცვა“ საქართველო დამძიმებული რუსეთმა (გაბოძე, 2010, გვ.158).

ბარათაშვილის „ბედი ქართლისას“ **უცნობი ხელნაწერი ასლი №1430** ინახება კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, დიმიტრი ყიფიანის არქივში. პოემას უჭირავს ალბომის ხუთი გვერდი. ბოლოში ახლავს მინაწერი: „თქმული თავადის ნიკოლოზ მელიტონის ძე ბარათოვის მიერ, 1847“ (1847 პოემის გადაწერის თარიღია ჯ.გ.). პოემის ყიფიანისეული ხელნაწერი სხვა ავტოგრაფული და ხელნაწერი ნუსხებისაგან განსხვავებით შეიცავს იმგვარ შინაარსობრივ, ლექსიკურ, გრამატიკულსა და სტრუქტურულ ცვლილებებს, რომ, ვფიქრობთ, იგი უცნობი ავტოგრაფიდან უნდა იყოს გადაწერილი.

ჩვენი კვლევის მიზანია: ა) შევისწავლოთ „ბედი ქართლისას“ ყიფიანისეული ხელნაწერი და მისი მიმართება პოემის სხვა ავტო-

გრაფებთან, რომლებიც ბარათაშვილმა მოგვიანებით გადაამუშავა და აღნიშნული ნაირწყაითხვაც შეცვალა; ბ) გამოვარკვით რატომ მიმართა პოეტმა ავტოცენზურას და როდის ვლინდება პოეტის ბოლო შემოქმედებითი ნება; გ) დავადგინოთ, ყიფიანისეული ტექსტი ვარიანტია თუ პოემის სხვა რედაქცია. კვლევისას ვიყენებთ წყაროთმცოდნეობით, ბიოგრაფიულ, ისტორიულ-შედარებითსა და დედუქციის მეთოდებს.

ნიკოლოზ ბარათაშვილმა პოემა „ბედი ქართლისა“ 1839 წელს დაწერა. ასეა დათარიღებული მისი ორივე რედაქცია პოეტის ავტოგრაფულ კრებულებში, რომლებშიც პოეტმა 1843 წლამდე შექმნილი ყველა ლექსი შეიტანა. კრებულების დათარიღების საფუძველიც სწორედ ეს გახდა.

არსებობს პოემის ორი ავტოგრაფული ხელნაწერი და ორი ნაბეჭდი წყარო.

I. A ავტოგრაფული ხელნაწერი S 2517 ე. წ. თაყაიშვილისეული, 38 გვერდია, სათაური: „ბედი ქართლისა“, თქმული წელსა 1839-სა თფილისს. ხელმოწერა: თ'ი ნ. ბ. ახლავს მინაწერი: „ვიყიდე ვორონინისგან, ნევის პროსპექტზე, თაყაიშვილი“ (ბარათაშვილი, 1972, გვ. 172). სავარაუდოდ, კრებული ეკატერინე ჭავჭავაძისთვის გადაუწერია პოეტს, მეცნიერთა ვარაუდით, სწორედ ამ ხელნაწერიდან გაეცნო პირველად ილია ჭავჭავაძე ბარათაშვილის შემოქმედებას.

II. B ავტოგრაფული ხელნაწერი - H 2034, ე.წ. ვეზირიშვილისეული, შეიცავს 42 ფურცელს. სათაური „ბედი ქართლისა“ შესრულებულია ხვეული ასოებით. ახლავს მინაწერი: თქმული წელსა 1839-სა, ტფილისს და ხელმოწერა XXX (ბარათაშვილი, 1972, გვ. 173). ორივე ხელნაწერი ინახება კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.

I. „ბედი ქართლისა“ – პირველად დაიბეჭდა 1858 წელს ჟურნალ „ცისკარში“ №9 გვ. 1-14. ხელნაწერი რედაქციისთვის გადაუცია დიმიტრი ბერიევს, ტექსტი ცენზორს ძლიერ დაუმახინჯებია, ამოჭრილია 61 ტაეპი.

II. „ბედი ქართლისას“ სრული ტექსტი პირველად გამოქვეყნდა 1876 წელს წიგნში „ლექსნი თქმულნი თ. ნ. ბარათაშვილისაგან“. პეტრე უმიკაშვილის ცნობით „ეს ლექსთა კრება ნიკოლოზ მელიტონის ძის ბარათაშვილისა გადმოვბეჭდეთ ჩვენ თვით პოეტის საკუთარის ხელთანაწერთგან, რომელნიც ეკუთვნოდნენ თ. გრიგოლ დიმ. ორბელი-

ანს“. ეს ავტოგრაფული ხელნაწერი (ე. წ. ორბელიანისეული) დღეისათვის დაკარგულია.

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ინახება პოემის 11 ხელნაწერი ასლი, გადაწერილი სხვადასხვა პირის მიერ. პოემის ხელნაწერი ასლები ვარიანტულად განსხვავდებიან ერთმანეთისგან. სამ ხელნაწერ ასლს აკლია მიმართვა **კახთა მიმართ**. სავარაუდოდ, გადაწერილია ისეთი ავტოგრაფული წყაროდან, რომელშიც შესავალი არ იყო. სამწუხაროდ, დღეისათვის ეს წყაროც დაკარგულია.

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში მივაკვლიეთ **ვახტანგ ერისთავის** (ვინაობა ჯერ ვერ დავადგინეთ) წერილს, რომლითაც იგი 1852 წელს მიხეილ თუმანიშვილს აცნობებს, რომ ზედმიწევნით, ასო-ასო გადაწერა საწყალი ტატოს ლექსები, ყველაფერი, რაც კი მან გადასცა. ამრიგად, ბარათაშვილის ნაწერების გადამწერთა დღემდე არსებულ სიას ვახტანგ ერისთავის სახელიც მიემატა (თუმანიშვილი ხეც №681/786).

პოემის ხელნაწერ ასლებთან შედარებით ყიფიანისეული ტექსტი ყველაზე სრულია, ახლავს მიმართვა **კახთა მიმართ** და როგორც ზემოთ მივუთითეთ, ავტოგრაფული და ხელნაწერი ასლებისგან განსხვავებით შეიცავს **შინაარსობრივ, ლექსიკურ, გრამატიკულსა და სტრუქტურულ ცვლილებებს**.

პირველ ყოვლისა, ვნახოთ, რამდენად მნიშვნელოვანია პოემის ყიფიანისეულ ხელნაწერში მიკვლეული ნაირწყაობები. მოკლედ წარმოვადგენთ ამ ცვლილებებს.

შინაარსობრივი სხვაობანი

პოემის ყველა ხელნაწერში (ავტოგრაფულშიც და ასლებშიც) და ნაბეჭდ ტექსტებშიც მეორე კარში ერეკლესა და სოლომონის დიალოგი მთავრდება ასე:

„რომ დღეს იქნება, თუ ხვალ იქნება
ქართლსა დაიცავს რუსთ ხელმწიფება“.

როგორც ზემოთ მივუთითეთ, ყიფიანის ხელნაწერში კი ეს სტრიქონები ამგვარად იკითხება¹:

¹ მუქი შრიფტით აღნიშნულია ყიფიანისეული ტექსტი

„რომ დღეს იქნება, თუ ხვალ იქნება
ქართლსა დაიპყრობს რუსთ ხელმწიფება“.

კიდევ: და კვლავ ირაკლიმ ხრმალი ბრძოლისა]
და კვლავ ირაკლიმ ხრმალი გაღესა
სამხრეთით]სომხეთით

ლექსიკური სხვაობანი:

ერთგულობა] ერთსულობასა] ერთ სულობასა
გმირო ქართლისა] გმირო ქუელისა
მყის ირაკლისა] მეფის
ბატონს თვის ჯარი კრწანისის მინდვრად]
ქართველთა ჯარი კრწანისის მინდვრად
ფუფვნეულება] ფიფნეულება
გაფოთებული] გაშფოთებული
მაშ რამ შემფოთნა მას გული მყარი] მაშ რამ უცვალა...
თამაზ ენისელთ მოურავის ძე
და იოანე კახთ აბაშიძე]
სომხეთის გმირნი ყაფლანიშვილნი
და მართ მომარცხნეთ ბარათაშვილნი

სხვათა შორის, ეს უკანასკნელი ვარიანტული წაკითხვა არის ვეზირიშვილისეულ ავტოგრაფულ კრებულშიც (H2034) და ნაბეჭდ წყაროშიც (1876), რომელიც ემყარება ე. წ. ორბელიანისეულ ავტოგრაფულ ხელნაწერს.

საერთოდ, გვინდა შევნიშნოთ, რომ პოემის ყიფიანისეული ხელნაწერი ზოგ შემთხვევებში ემთხვევა ე.წ. თაყაიშვილისეულ რედაქციას, ზოგჯერ კი ე.წ. ვეზირიშვილისეულ და ორბელიანისეულ რედაქციებს. თუმცა საყურადღებოა, რომ საანალიზო ტექსტში გვხვდება ყველა სხვა ხელნაწერისგან განსხვავებული არაერთი ნაიწაკითხვაც. შევნიშნავთ, რომ სანიმუშოდ წარმოდგენილი მაგალითები ხელნაწერში არსებული ცვლილებების მხოლოდ ნაწილია, ყველა ვარიანტული სხვაობა სრულად იქნება ასახული ბარათაშვილის თხზულებათა ახალ აკადემიურ გამოცემაში, პოემის სამეცნიერო აპარატში.

გრამატიკული ნაირწაკითხვანი:

პოემის ხელნაწერებში მრავლად გვხვდება გრამატიკული (ორთოგრაფიული და ფონეტიკური) ნაირწაკითხვანი. საყურადღებოა ერთი თავისებურებაც – პოემის ყველა რედაქციაში (ხელნაწერშიც და ნაბეჭდშიც) შეინიშნება გრამატიკული ნორმების სიჭრელე, მაგ. პოეტი ძველ ასოებს ხან იყენებს და ხან – არა. ასეთივე სურათია სუბიექტური და ობიექტური პირის ნიშნების გამოყენებისასაც, ასევე, სხვა ორთოგრაფიული ნორმების შემთხვევაშიც. არადა, სალიტერატურო ენის რეფორმა თითქმის ნახევარი საუკუნის შემდეგ გატარდა. როგორც ჩანს, ეს პროცესი ბევრად უფრო ადრე დაიწყო ენაში. ამდენად, ბარათაშვილის ხელნაწერები ენათმეცნიერთათვის მეტად საინტერესო საკვლევ მასალას წარმოადგენს. ასეთივე სიჭრელეა ყიფიანის ტექსტშიც, თუმცა ყველგან როდი გვხვდება ძველი ასოები, არადა, იგი 1860-იან წლებამდე ინტენსიურად იყენებდა არქაულ ასოებს და მხოლოდ რეფორმის შემდეგ თქვა მათ გამოყენებაზე უარი, რაც გვაფიქრებინებს, რომ დიმიტრი ყიფიანს ხელთ ჰქონია უშუალოდ ბარათაშვილის ხელნაწერი.

აი, გრამატიკული ნაირწაკითხვების რამდენიმე მაგალითი:

გამოხატვასა ჩემს ყმაწვილობის] გამოჰხატვას ჩემს ყმაწვილობას
გვესწრაფე ჩვენო]გუესწრაფე ჩუენო

ეჭირება]ეჭირვება

შეჰყარა]შეჰყარნა

თავისს]თვესსა

მხდალსა განამხნევს, მხნეს განალვიძებს] განგამხნევს, მხნევ
განგადვიძებს

შეექმნათ]შეიქმნა

მოწყენის]მოწყენილის

მოჰსძახიან]მოსძახიან

განუმზადებდი ჟამ-კეთილობას]ჟამსკეთილობას

სიამაყითა]ამაყობითა

დროსა უყურებს]დროს შამოჰყურებს

დავიდუმებ ჩემსა გულისთქმას] მე ჩემს გულისთქმას

სხვას განიბოდო]სხვათ გაუბოდო

მიაჩნის]მიაჩნდის

ისეთი შემთხვევებიცაა, როდესაც გადანაცვლებულია სტრიქონები, თუმცა ეს შინაარსს არ ცვლის. მაგ.ოდეს მის შორის თვისება ერთა სხვადასხვაობდეს] **ოდეს თვისება ერთა მის შორის სხვადასხვაობდეს.**

სტრუქტურული სხვაობა

პოემის ყიფიანისეული ხელნაწერის ტექსტი წითელი ფანქრით დაყოფილია 25 ნაკვეთად, სტრიქონები დანომრილია. ეს დაყოფა შემთხვევითი არ უნდა იყოს. ვფიქრობთ, ამით გამოკვეთილია ცალკეული ეპიზოდები. სავარაუდოდ, ეს დაყოფაც ავტორისეული უნდა იყოს, თუმცა მსგავსი სტრუქტურული წყობა პოემის სხვა ხელნაწერებში უკვე აღარ შეიმჩნევა.

ამრიგად, ტექსტში არსებული შინაარსობრივი, ლექსიკური, გრამატიკული რაოდენობრივი ცვლილებები ცალკეულ შემთხვევებში თვისებრივ სხვაობებსაც ქმნის, რაც გვაფიქრებინებს, რომ ხელნაწერი S1430 შესაძლოა იყოს „ბედი ქართლისას“ ერთ-ერთი პირველი რედაქცია.

როგორ მოხვდა იგი ყიფიანის არქივში? ბარათაშვილის თანამედროვეთა ცნობით, პოეტმა „ბედი ქართლისა“ პირველად ალექსანდრე ჭავჭავაძის სალონში წაიკითხა. დიმიტრი ყიფიანი იგონებს:

„მისი ლექსები იკითხებოდა ყოველთვის ამხანაგთა და ნათესავთა წრეში. მისი მოასაკენი ყველაზე ხშირად ჩემთან იკრიბებოდნენ (როცა მარტოხელა ვიყავი)... ტატოს პოეტური ნიჭი ამ წრეში განვითარდა. აქ იგი კითხულობდა პირველად თავის ლექსებს, აქ იგი ისმენდა შენიშვნებს, რასაც თითოეული გამოსთქვამდა გულწრფელად და **აქვე იგი კითხულობდა ამ ლექსებს შესწორების შემდეგ...** ეს შენიშვნები ეხებოდა მხოლოდ იმას, რაც ხელს შეუწყობდა აზრის გარკვევას ან უფრო რელიეფურად გამოთქმას“ (ლეონიძე, 1940, გვ. 410).

შესაძლოა სწორედ ერთ-ერთი ასეთი საჯარო კითხვის შემდეგ გადასცა პოეტმა ხელნაწერი დიმიტრი ყიფიანს.

როგორც ცნობილია, ბარათაშვილის გარდაცვალებიდან რამდენიმე თვის შემდეგ მეგობრებმა განიზრახეს მისი ლექსების გამოცემა. აი, რას სწერს ლევან მელიქიშვილი გრიგოლ ორბელიანს. 1846 წლის

14 იანვარს, როდესაც შეკრებილნი იყვნენ რევაზ ანდრონიკაშვილთან, აღმოჩნდა, რომ

„არც ერთმა ჩვენგანმა არათუ თუ ზეპირად არ იცოდა ეს მშვენიერი ლექსი (სულო ბოროტო ჯ. გ.) არც კი ვისმე ჰქონდა გადანაწერი და ყველანი გულით შევწუხდით, რომ მშვენიერი ნაწერები იკარგება. მაშინვე განვიზრახეთ განსვენებულის ყველა ლექსი დავბეჭდოთ ჩვენის ხარჯითა. მეორე დღეს გავმართეთ ხელისმოწერა, რომლითაც ვთხოვეთ განსვენებულის ნათესავებსა და მცნობებს შემოწირულობა შემოეტანათ დასაბეჭდათ როგორც მის საკუთარ ნაწერების, აგრეთვე ნათარგმნების, რომ საშვილიშვილოდ დარჩეს განსვენებულის ნაწარმოებნი. გაყიდული წიგნების შემოსული ფულის ნაწილით ძეგლი დაედგას, დანარჩენი მის სახლობის სასარგებლოდ მიეცეს. ხუთ დღეში ჩვიდმეტმა კაცმა შემოსწირა ათასი მანეთი, აქედამ მიხვდები, რა ძლიერათ სიყვარული ჰქონიათ მის ნაცნობებს. ახლა ვაგროვებთ განსვენებულის ყველა ნაწერებს, ერთ წიგნად დავბეჭდავთ, ზედ დაურთობთ მის სახეს. შენთან აი, რა სათხოვარი გვაქვს: 1. დასწერო, რასაკვირველია, ქართულ ენაზედ და თუ შესაძლებელია ლექსად, წინასიტყვაობა წიგნისათვის, ბიოგრაფია განსვენებულისა და ეპიტაფია მის ძეგლისთვის და 2. გამოგზავნო თუ გაქვს მისი ლექსები ან დაბეჭდვის ღირსი წერილები და აგრეთვე, ოთხმოცი მანეთი, რომელიც მმამ ზაქარიამ შენ მაგიერ ხელმოწერით შემოტანა განიზრახა“ (მელიქიშვილი, ხეც №662/№124).

როგორც ჩანს, აქტიურად დაიწყო ბარათაშვილის ლექსების შეგროვების პროცესი, ლევან მელიქიშვილი განჯაში სწერს ილია ორბელიანს 1846 წლის 27 ივლისს: *„ილიკო აქაც გთხოვე და კიდევაც გთხოვ, ტატოს ლექსები რომ გაქვს მანანას ქალისგან წაღებული, გამომიგზავნე, რჩება დაუბეჭდველი და ბედი ქართლისაც შენ გაქვს, ფულებს კი აღარ ვგონებ, ეგენი მაინც გამომიგზავნე“ (იქვე).*

ბუნებრივია, მეგობრებმა ამ მიზნით მიმართეს ბარათაშვილის ყველა ახლობელს და რაღა თქმა უნდა, დიმიტრი ყიფიანსაც, რომელიც პოეტის არა მხოლოდ გიმნაზიის მეგობარი იყო, არამედ ძალიან დაახლოებული იყო მის ოჯახთან. როგორც მისი მეუღლე, ნინო, იგონებს, ტატო მხოლოდ დასაძინებლად მიდიოდა სახლში (ლეონიძე, 1940, გვ. 410).

ამ მოთხოვნის შემდეგ, ალბათ, დიმიტრიც შეელია თავის არქივში არსებულ „ბედი ქართლისას“ ავტოგრაფს, პოემა გადაწერა თავის ალბომში და პოეტის ხელნაწერი კი მის მეგობრებს გადასცა.

საბოლოოდ, ვერც ბარათაშვილის ნაწერების გამოცემა შესძლეს და ვერ მისი ძეგლის დადგმა. ფული ოჯახს გადასცეს, რომლითაც საფლავის მოწესრიგება-მოპირკეთება მოხერხდა მხოლოდ.

რატომ ვერ გამოსცეს ბარათაშვილის ნაწერები? ალბათ, საკმარისი თანხა ვერ შეაგროვეს, ან შესაძლოა გამოცემა სულაც იმან დააბრკოლა, რომ ცენზურისთვის მიუღებელი ბევრი ადგილი იყო ლექსებში. ლევან მელიქიშვილი ხომ სწორედ ამის გამო წუხდა: „არ ვიცი ბედი ქართლისა როგორ უნდა დაიბეჭდოს, რადგანაც ზოგიერთი ალაგი ძალიან თავისუფალი არი, თუ გასწორდება, კარგად იცი, ბევრს დაჰკარგავს მთელი პოემა, მაგრამ ამ ამბავსაც შეგატყობინებ, რასაც ვარჩევთ“ (მელიქიშვილი ხეც №662/№124). კონსტანტინე მამაცაშვილის ცნობით, „ბევრი იმისი ლექსნი დაკარგულია, რადგან იმათი დაბეჭდვა მაშინ არ შეიძლებოდა“.

საგულისხმოა, რომ ვახტანგ ერისთავის წერილი 1852 წელსაა გაგზავნილი მიხეილ თუმანიშვილთან, რაც იმაზე მეტყველებს, რომ იგი პოეტის ნაწერების გადაწერას კვლავაც აგრძელებდა. აკი, ამიტომაც სწორედ მის არქივში შემორჩა ბარათაშვილის რამდენიმე ხელნაწერი. სხვათა შორის, მამაცაშვილის მიერ გამოთქმული შიში თუ ეჭვი არცთუ უსაფუძვლო იყო, რადგან 12 წლის შემდეგაც, 1858 წელს, როდესაც „ცისკარში“ პირველად გამოქვეყნდა პოემა „ბედი ქართლისა“, ცენზურამ ამოჭრა 61 სტრიქონი. ს. ხუციშვილის მიხედვით, პოემიდან ცენზურას ამოუღია ისეთი ნაწილებიც, რომლებიც ნაწარმოების აზრის გაგებისათვის აუცილებელია, სიტყვა „თავისუფლების“ ხსენება, მეფის უფლების განქიქება, სამშობლოში თავისუფლად სურვილის გამოთქმა და ზერელე ადამიანთა მხილება აუკძალია“ (ხუციშვილი, 1944, გვ. 858).

ბარათაშვილმა პოემა, სავარაუდოდ, 1839 წელსვე წაუკითხა მეგობრებს. შეთქმულებიდან შვიდი წელი იყო გასული, შერისხულთაგან ზოგი ახალჩამოსული, ზოგიც ისევ ცარიზმის მკაცრი ზედამხედველობის ქვეშ იტანჯებოდა და რა გასაკვირია, რომ პოეტის თამამი სტრიქონები მსმენელთა ყურს მოსჭრიდა და შესაძლოა ურჩიეს კიდევ მათი შეცვლა. დაბეჯითებით ძნელია იმის მტკიცება, რომ ტატომ მაშინვე გაითვალისწინა ნათესავ-მეგობართა შენიშვნები და ავტოცენზურას მიმართა, კონიუნქტურული მოსაზრებით ჩაასწორა ცალკეული

ადგილები, მაგ, დაიპყრობს უფრო უსაფრთხო სიტყვით (დაიცავს) ჩაანაცვლა.

სხვათა შორის, ცარიზმის რეჟიმის გამო ავტოცენზურას ხშირად მიმართავდნენ რუსი და ქართველი კლასიკოსებიც. აკაკი წერეთელსაც არაერთხელ გამოუყენებია ეს მეთოდი. აი, მაგალითად, როდესაც „განთიადს“ ჰკარნახობდა კირილე ლორთქიფანიძეს, მიხვდა, რომ დიმიტრი ყიფიანის ხსენებას შესაძლოა დაებრკოლებინა ლექსის დაბეჭდვა და სტრიქონი „საფლავსა დიმიტრისასა“ ასე ჩაასწორა: „თავდადებულის საფლავსა“ (გაბოძე, 2009, გვ. 118).

საბჭოთა რეჟიმის დროს ავტოცენზურას წარმატებით იყენებდა გალაკტიონიც სათაურებსა და თარიღებს ცვლიდა, ეპიგრაფებს გასაღებივით არგებდა ლექსებს და მერე ისევ ხსნიდა (გაბოძე, 2023, გვ. 86).

როგორც ჩანს, პოემის დაწერიდან წლების შემდეგ ბარათაშვილმა შეიცვალა შეხედულება საქართველოს პოლიტიკური ორიენტაციის შესახებ. 1843 წელს მან ორჯერ შემოქმედებითად გადაამუშავა პოემა. საგულისხმოა, რომ ამ დროისათვის მას უკვე დაწერილი აქვს „საფლავი მეფის ირაკლისა“ (1843) და უფრო მოგვიანებით „ომი ქართველთა...“ (1844), რომლებშიც უკვე აშკარადაა გამოხატული მისი დამოკიდებულება ერეკლეს პოლიტიკური არჩევანის მიმართ¹ (ბარათაშვილი, 1972, გვ. 54; 47).

1843 წელს შედგენილი ხელნაწერი კრებულებიდან ერთი მის დას დარჩა, მეორე კი, როგორც ივ. ლოლაშვილი შენიშნავს, უფრო დახვეწილი, სათაყვანებელ ეკატერინე ჭავჭავაძეს მიართვა. თუმცა მაინც ვერ შეელია იმ „თავისუფალ ადგილებს“ (ლ.მ.), რომლებიც 16 წლის შემდეგაც არ გამოეპარა ცენზორის მკაცრ თვალს.

საგულისხმოა, რომ „ბედი ქართლისას“ ყიფიანისეულ ხელნაწერ წყაროს არ იცნობს ბარათაშვილის თხზულებათა 1922, 1939 და 1945 წწ. გამოცემები. 1968 და 1972 წლის თხზულებათა აკადემიურ გამოცემებში (შემდგენლები პავლე ინგოროყვა და ივანე ლოლაშვილი) ეს ხელნაწერი ასლი დასახელებულია, თუმცა არათუ სხვა რედაქციად, ვარიანტადაც კი არ არის მიჩნეული და არც ერთი ნაირწაკითხვა აღნიშნული არაა.

¹ მაღლობას მოვახსენებთ პროექტის სამეცნიერო კონსულტანტებს, პროფესორებს ლუიჯი მაგაროტოსა და გაგა შურდაიას საკვლევ საკითხთან დაკავშირებით გამოთქმული საგულისხმო რჩევებისათვის, რომლებსაც სიამოვნებით ვიზიარებთ.

საკითხავია, გამომცემლებმა რატომ არ ჩათვალეს პოემის ყიფიანისეული ხელნაწერი ყურადსაღებ წყაროდ? შესაძლოა, მასში არსებული ერთობ სახიფათო შინაარსობრივი ნაირწყატიხვების გამო? ან იქნებ ეს სწორებანი ავტორისეულად არც ჩათვალეს. მაგრამ ვინ შეიტანა ტექსტში ამდენი სწორება, ან ყიფიანი რატომ გადაწერდა სხვის მიერ ნასწორებ ტექსტს და ბარათაშვილის გვარს რატომღა მოაწერდა?

დიმიტრი ყიფიანის ჩარევა ტექსტში გამორიცხულია რამდენიმე პრინციპული მიზეზის გამო: 1. ცნობილია, ყოველი საქმისადმი მისი კეთილსინდისიერი და სკრუპულოზური დამოკიდებულება; 2. გასათვალისწინებელია, რომ დიმიტრი ყიფიანი შედიოდა იმ სახელისუფლებო ელიტაში, რომელიც მართავდა კავკასიას. ამდენად, მას რუსეთის მმართველობაში საქართველოს ყოფნა მიაჩნდა არა დაპყრობად, არამედ ქვეყნის ეკონომიკურ-პოლიტიკური და საზოგადოებრივ-კულტურული განვითარების შესაძლებლობად. *„დიმიტრი ყიფიანის აზროვნება, მისი საზოგადოებრივი მოღვაწეობის ხასიათი და მიზანდასახულობა წარმოადგენს პოლიტიკურად ტრანსფორმირებულ, მაგრამ საზოგადოებრივ-კულტურული თვალსაზრისით შემაკავშირებელ ეტაპს, ამასთანავე, მსოფლმხედველობრივ და იდეოლოგიურ „ხიდს“ ოცდათორმეტიანელებსა და თერგდალეულებს შორის“* (ჯოლოგუა, 2022, გვ. 219). 3. და ბოლოს, რაც ყველაზე მთავარია, შეუძლებელია, ვინმეს, მით უფრო დიმიტრი ყიფიანს, პოემის ტექსტში შეეტანა ამდენი შინაარსობრივი, ლექსიკური, გრამატიკული თუ სტუქტურული ხასიათის ცვლილება. საყურადღებოა ისიც, რომ ამ ნაირწყატიხვების უმეტესი ნაწილი გვხვდება ბარათაშვილის ორივე ავტოგრაფულ ხელნაწერში და იმ ნაბეჭდ წყაროში, რომელიც ასევე ავტოგრაფიდან მომდინარეობს (გამონაკლისია მხოლოდ ერთადერთი სწორება „დაიპყრობს“). ყველა ეს არგუმენტი კი სწორედ იმაზე მიუთითებს, რომ ყიფიანისეული ხელნაწერი არის პოემის ავტორიზებული წყარო, მომდინარე პოემის ერთ-ერთი ავტოგრაფული ნუსხიდან.

გავარკვიოთ ყიფიანისეული ხელნაწერი 1430 ვარიანტია თუ პოემის სხვა რედაქცია?

ტექსტოლოგიაში ნაწარმოების რედაქციის განმარტებასთან დაკავშირებით რამდენადმე განსხვავებული კრიტერიუმი არსებობს. ერთი მოსაზრების მიხედვით, რედაქციასა და ვარიანტს შორის განსხვავება მხოლოდ ნაირწყატიხვის რაოდენობით განისაზღვრება, თუ ნა-

წარმოების ტექსტების შედარება მრავლად იძლევა სხვაობებს, მათ ხშირად რედაქციას უწოდებენ, ხოლო თუ სხვაობები შედარებით ნაკლები რაოდენობითაა, ვარიანტებს. სხვა მოსაზრებით, „რედაქციებისა და ვარიანტების გამიჯვნის პრინციპი უნდა იყოს თვისებრივი და არა რაოდენობრივი“ (Προχοпов, 1966, გვ. 133).

ქართველი ტექსტოლოგების აზრით, „ორ ურთიერთშესადარებელ წყაროში თუ ერთი აზრია გატარებული, ხოლო ეს წყაროები განსხვავდება ერთმანეთისგან ავტორისეული კონცეფციით, ჩანაფიქრით, იდეით, სტილით, ჟანრით, ერთ-ერთ მათგანს ძირითადი ტექსტი, მეორეს კი სხვა რედაქცია ეწოდება“ (შავგულიძე, მეფარიშვილი, 2006, გვ. 189).

ბარათაშვილის თხზულებების 1972 წლის შემდგენელი ივ. ლოლაშვილი გამოყოფს პოემის სამ რედაქციას: **პირველ რედაქციად** მიიჩნევს პოემის იმ ხელნაწერებს, რომლებშიც გამოტოვებულია მიმართვა კახთა მიმართ, **მეორე რედაქციად** – ე. წ. ვეზირიშვილისეულ, შევსებულ ავტოგრაფულ ხელნაწერს და **მესამე რედაქციად** ე. წ. თაყაიშვილისეულს – გადამუშავებულ და დახვეწილს, რომელიც ეკატერინესთვის მიუღწევია პოეტს. შესაბამისად, პოემის ძირითად ტექსტად ივანე ლოლაშვილი ამ ხელნაწერს მიიჩნევს (ბარათაშვილი, 1972, გვ. 182-185).

როგორც აღვნიშნეთ, პოემის ყიფიანისეულ ხელნაწერში ერეკლეს პოლიტიკური ორიენტაციის შესახებ ავტორის განსხვავებული კონცეფციაა წარმოდგენილი (**ქართლსა დაიპყრობს**), რაც ხსნის მეფის გადაწყვეტილების რეალურ მიზეზსაც და მიზანსაც. **ამდენად, ეს ხელნაწერი წყარო შეგვიძლია ჩავთვალოთ პოემის არა ვარიანტად, არამედ მის ერთ-ერთ რედაქციად, რომელიც შემდეგ შემოქმედებითად გადაამუშავა პოეტმა და საბოლოო ნება გამოხატა 1843 წელს გადაწერილ ავტოგრაფულ კრებულებში. მაშასადამე, შეიძლება დავასკვნათ, რომ დღეისათვის უკვე პოემის ოთხი რედაქცია გვაქვს.**

ამრიგად, „ბედი ქართლისას“ დიმიტრი ყიფიანის მიერ გადაწერილი ხელნაწერის (1430) შედარებამ პოემის ავტოგრაფებთან და სხვა ხელნაწერ და ნაბეჭდ წყაროებთან მიმართებით მოგვცა შემდეგი დასკვნის საშუალება: პოემის აღნიშნული ხელნაწერი შეიცავს მნიშვნელოვან შინაარსობრივ სხვაობას, რაც ცვლის პოემის იდეურ ხაზს. ასევე გვხვდება არაერთი ლექსიკური, გრამატიკული და სტრუქტურული ნაირწაკითხვა, ვფიქრობთ, რომ ყიფიანისეული ტექსტი არის პოემის ერთ-ერთი პირველი რედაქცია. შინაარსობრივი და მრავალი ლექსიკური და გრამატიკული განსხვავება სხვა რედაქციებთან შედარებით

გვაფიქრებინებს, რომ ყიფიანისეულ ხელნაწერი შესაძლოა ჩაითვალოს პოემის ავტორიზებულ წყაროდ. პოეტის ბოლო შემოქმედებითი ნება კი გამოხატულია პოემის უფრო გვიანდელ (1843) გადამუშავებულ ავტოგრაფულ ხელნაწერებში, რომელთაგან ძირითადი ტექსტის არჩევისას ჩვენც ივანე ლოლაშვილის მოსაზრებას (ე. წ. თაყაიშვილისეული რედაქცია) ვემხრობით.

პოემის ყიფიანისეული ტექსტი დაიბეჭდება ბარათაშვილის თხზულებათა ახალი აკადემიური ორტომეულის პირველ ტომში „სხვა რედაქციის“ განყოფილებაში, ვრცელი სამეცნიერო აპარატით.

როგორც ამბობენ, „ხელნაწერები არ იწვიან“. 185 წლის შემდეგ გაცხადდა პოემის პირვანდელი იდეა, რომელიც, ალბათ, წაკითხვისთანავე მეგობართა რჩევით „თავშესაფარში“ (პოემის პირველ რედაქციაში) დატოვა პოეტმა. მისმა უფროსმა მეგობარმა კი რუდუნებით გადაწერა და ასე შემოუნახა შთამომავლობას. შესაძლოა იმ იმედით, რომ პოეტის სათქმელი ოდესმე მიაღწევდა მკითხველამდე და აკი, მოაღწია კიდეც.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ბარათაშვილი, ნ. (1922). ლექსები, ბედი ქართლისა, წერილები. ტფილისი.
- ბარათაშვილი, ნ. (1945). თხზულებანი. თბილისი: „სახელმწიფო გამომცემლობა“.
- ბარათაშვილი, ნ. (1968). თხზულებანი. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.
- ბარათაშვილი, ნ. (1972). თხზულებანი. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.
- გაბომე, ჯ. (2009). აკაკი წერეთლის თხზულებათა გამოცემები. თბილისი: „ლიტინსტიტუტის გამომცემლობა“.
- გაბომე, ჯ. (2010). ისტორიული ანაქრონიზმი და თვითგამეორება (აკაკის ზოგიერთი ლექსის ადგილის განსაზღვრისათვის). სჯანი, 11, 158-167.
- გაბომე, ჯ. (2023). ეპიგრაფი როგორც კოდი (გალაკტიონის „ოქრო აჭარის ლაჟვარდში“). XVI საერთაშორისო სიმპოზიუმის – სოციალისტური რეალიზმის ეპოქა ლიტერატურასა და ხელოვნებაში – მასალები, თბილისი: „უნივერსიტეტის გამომცემლობა“. https://tsu.ge/assets/media/files/48/konferenciebi/Simpoziumi_Masalebi_XVI.pdf
- თუმანიშვილი, მ. მიხეილ თუმანიშვილის არქივი. ხეც., 681/786.
- ლეონიძე, გ. (1940). ნიკოლოზ ბარათაშვილის გარშემო. „ლიტერატურის მკვლევარი“, თბილისი: „ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი“, 1-2.
- მელიქიშვილი, ლ. გრ. ორბელიანის არქივი, ხეც. 662/124.
- ყიფიანი, დ. ხელნაწერი ალბომი. დიმიტრი ყიფიანის არქივი, ხეც. H-1430

- შავგულიძე, ლ. მეფარიშვილი, ლ. (2006). სხვა რედაქციები და ვარიანტები. წიგნში: ქართული ტექსტოლოგია. თბილისი: „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა“.
- ხუციშვილი, ს. (1944). ნიკოლოზ ბარათაშვილის პოემა „ბედი ქართლისას“ პირველნაბეჭდი. თბილისი: მეცნიერებათა აკადემიის მოამბე V (8).
- ჯოლოგუა, თ. (2022). ცხოვრება და ღვაწლი დიმიტრი ყიფიანისა. წიგნში: ნარკვევები, ლიტერატურული პორტრეტები, პუბლიკაციები. თბილისი: „არტანუჯი“.
- Прохоров, Э. (1966). Другие редакции и варианты. В книге: Текстология. Москва: „Высшая Школа“.
- Рейсер С. (1978). Последняя творческая воля. В книге: Основы Текстологии. Ленинград: „Просвещение“.

References:

- Baratashvili, N. (1922). Lek'sebi, bedi kartlisa, ts'erilebi [Poems, The Fate of Kartli, Letters]. Tbilisi.
- Baratashvili, N. (1945). Tkhzulebani. [Works]. Tbilisi: sakhelmtsipo gamomtsemloba.
- Baratashvili, N. (1968). Tkhzulebani [Works]. Tbilisi: “sabch'ota Sakartvelo.
- Baratashvili, N. (1972). Tkhzulebani [Works]. Tbilisi: “sabch'ota Sakartvelo.”
- Gabodze, J. (2009). Ak'ak'i Ts'eretlis tkhzulebata gamotsemebi. [Publications of Akaki Tsereteli's Works]. Tbilisi: lit'instit'ut'is gamomtsemloba.
- Gabodze, J. (2010). Ist'oriuli anakronizmi da tvitgameoreba (Ak'ak'is zogierti lexis adgilis gansazghvisatvis). [Historical Anachronism and Self-Repetition (On Determining the Place of Some of Akaki's Poems)]. Sjani, 11, 158-167.
- Gabodze, J. (2023). Ep'igrapi rogorts k'odi (Galak't'ionis “Oqro Ach'aris Lajvardshi”). [The Epigraph as a Code (Galaktion's “Gold in the Azure of Adjara”)]. Saertashoriso simp'oziumis – Sotsialist'uri realizmis epoka lit'erat'urasa da khelovnebashis – masalebi. Tbilisi: universit'et'is gamomtsemloba. https://tsu.ge/assets/media/files/48/konferenciebi/Simpoziuri_Masalebi_XVI.pdf
- Jologua, T. (2022). Tskhovreba da ghvats'li Dimi'tri Q'ipianisa. [Life and Work of Dimitri Kipiani]. In Nark'vevebi, Lit'erat'uruli p'ort'ret'ebi, p'ublik'atsiebi. Tbilisi: “Art'anuji”.
- Khutsishvili, S. (1944). Nik'oloz Baratashvilis p'oema “Bedi Kartlisa” p'irvelna-bech'di. [Nikoloz Baratashvili's Poem “The Fate of Kartli”, First Edition]. Metsnierebata Ak'ademiis Moambe, V(8).
- Leonidze, G. (1940). Nik'oloz Baratashvilis garshremo. [Around Nikoloz Baratashvili]. Lit'erat'uris Mat'iane, 1-2. Tbilisi: Lit'erat'uris Sakhelmtsipo Muzeumi.

- Melikishvili, L. (n.d.). Gr. Orbelianis arkivi. [Gr. Orbeliani's Archive] (Khec. №662/№124).
- Prokhorov, E. (1966). Drugie redakcii i varianty [Other Editions and Variants]. In: Tekstologija [Textology]. Moskva: Vysshaya Shkola.
- Q'ipiani, D. (n.d.). Khelnats'eri albomi, Dimit'ri Q'ipianis ark'ivi. [Manuscript Album, Dimitri Kipiani's Archive] (H-1430).
- Reiser, S. (1978). Poslednjaja tvorčeskaja volja [The Last Creative Will]. In: Osnovy tekstologii Leningrad: Prosveščenie.
- Shavgulidze, L., & Meparishvili, L. (2006). Skhva redaktsiebi da variant'ebi. [Other Editions and Variants]. In: Kartuli t'ekst'ologia. Tbilisi: Sakartvelos Metsnerebata Ak'ademiis gamomtsemloba .
- Tumanishvili, M. (n.d.). Mikheil Tumanishvilis arkivi. [Mikheil Tumanishvili's Archive] (Khec. №681/786).